ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქ. სსრ სახელმწ. საჯარო ბიბლიოთეკა

№ 2 (71) 2 თებერვალი 1956 წ.

## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

2. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

3. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

4. კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-15 პუნქტის გაუქმების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

5. კანონი „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-26 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

6. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ი. ნ. ლაღიძის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. გ. ა. ჯაბუას დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ი. ნ. ლაღიძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. დ. გ. მამაცაშვილის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. გ. ი. ჩო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოვაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

13. ამხ. ა. ნ. ვართაპეტოვის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

15. ბრძანებულება ამხ. დ. გ. მამაცაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

16. ბრძანებულება ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

17. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ.

18. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სტატისტიკური ანგარიშების 1955 წლის შედეგების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების დამტკიცების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის ცვლილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

## 1. კანონი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით: შემოსავლის ნაწილში — 2.901.894 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.898.894 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 3.000 ათასი მანეთის გადამეტებით და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1957 წლის 1 იანვრისათვის 86.687 ათასი მანეთი.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 2.219.471 ათასი მანეთი.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით — 727.033 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 579.847 ათასი მანეთი, ხოლო სულ — 1.306.880 ათასი მანეთი.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის—საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 1.972.768 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე — 162.170 ათასი მანეთი.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1956 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 2.414.617 ათასი მანეთი, გასავალი— 1.247.385 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 3.000 ათასი მანეთის გადამეტებით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.164.232

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1957 წლის 1 იანვრისათვის 32.995 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1956 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1957 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . | 170.111 | 107.375 | — | 170.111 | 5.099 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . | 136.215 | 88.920 | — | 136.215 | 4.086 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . . . | 71.014 | 29.256 | 32.797 | 71.014 | 2.130 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . | 362.746 | 158.353 | — | 362.746 | 7.249 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . . | 65.969 | 37.629 | — | 65.969 | 1.319 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . . . | 21.447 | 14.304 | — | 21.447 | 643 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . | 12.214 | 8.535 | — | 12.214 | 244 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . . | 21.373 | 14.514 | — | 21.373 | 600 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . . . | 16.013 | 7.951 | — | 16.013 | 320 |
| 10. აბაშის რაიონი . . . . . . . . | 11.359 | 9.694 | — | 11.359 | 539 |
| 11. ადიგენის რაიონი . . . . . . . | 9.091 | 2.632 | 5.531 | 9.091 | 391 |
| 12. ამბროლაურის რაიონი . . . . . . | 12.829 | 5.015 | 6.567 | 12.829 | 585 |
| 13. ასპინძის რაიონი . . . . . . . | 7.601 | 1.116 | 6.032 | 7.601 | 313 |
| 14. ახალქალაქის რაიონი . . . . . | 18.764 | 8.344 | 8.086 | 18.764 | 821 |
| 15. ახალციხის რაიონი . . . . . . | 17.775 | 13.723 | — | 17.775 | 565 |
| 16. ახმეტის რაიონი . . . . . . . | 12.090 | 5.450 | 5.795 | 12.090 | 511 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . | 9.859 | 2.262 | 6.831 | 9.859 | 468 |
| 18. ბოლნისის რაიონი . . . . . . . | 13.000 | 11.537 | — | 13.000 | 508 |
| 19. ბორჯომის რაიონი . . . . . . . | 14.748 | 11.023 | — | 14.748 | 457 |
| 20. გარდაბნის რაიონი . . . . . . | 8.326 | 3.071 | 4.688 | 8.326 | 297 |
| 21. გეგეჭკორის რაიონი . . . . . . | 18.412 | 7.959 | 8.946 | 18.412 | 906 |
| 22. გორის რაიონი . . . . . . . . | 18.236 | 16.732 | — | 18.236 | 958 |
| 23. გურჯაანის რაიონი . . . . . . . | 15.950 | 12.515 | — | 15.950 | 650 |
| 24. დმანისის რაიონი . . . . . . . | 11.979 | 3.684 | 7.464 | 11.979 | 629 |
| 25. დუშეთის რაიონი . . . . . . . | 16.490 | 6.603 | 8.271 | 16.490 | 681 |
| 26. ვანის რაიონი . . . . . . . . | 12.434 | 5.324 | 6.086 | 12.434 | 617 |
| 27. ზესტაფონის რაიონი . . . . . . | 20.839 | 16.908 | — | 20.839 | 769 |
| 28. ზუგდიდის რაიონი . . . . . . . | 32.946 | 28.007 | — | 32.946 | 1.161 |

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1957 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 29. თეთრიწყაროს რაიონი | 13.846 | 5.095 | 6.948 | 13.846 | 675 |
| 30. თელავის რაიონი | 22.733 | 16.992 | — | 22.733 | 706 |
| 31. თერჯოლის რაიონი | 10.005 | 9.178 | — | 10.005 | 451 |
| 32. თიანეთის რაიონი | 8.247 | 2.526 | 5.223 | 8.247 | 331 |
| 33. კასპის რაიონი | 15.023 | 12.952 | — | 15.023 | 629 |
| 34. კაჭრეთის რაიონი | 9.455 | 3.849 | 4.883 | 9.455 | 395 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი | 15.572 | 13.398 | — | 15.572 | 670 |
| 36. ლანჩხუთის რაიონი | 13.798 | 11.432 | — | 13.798 | 582 |
| 37. ლენტეხის რაიონი | 7.413 | 1.219 | 5.972 | 7.413 | 263 |
| 38. მაიაკოვსკის რაიონი | 10.375 | 9.308 | — | 10.375 | 483 |
| 39. მარნეულის რაიონი | 17.349 | 14.774 | — | 17.349 | 741 |
| 40. მახარაძის რაიონი | 26.161 | 20.250 | — | 26.161 | 985 |
| 41. მესტიის რაიონი | 9.449 | 1.708 | 7.387 | 9.449 | 372 |
| 42. მცხეთის რაიონი | 11.136 | 9.272 | — | 11.136 | 474 |
| 43. ონის რაიონი | 11.738 | 3.489 | 7.261 | 11.738 | 447 |
| 44. ორჯონიკიძის რაიონი | 13.208 | 4.500 | 7.589 | 13.208 | 580 |
| 45. საგარეჯოს რაიონი | 12.463 | 11.186 | — | 12.463 | 535 |
| 46. სამტრედიის რაიონი | 22.088 | 16.976 | — | 22.088 | 739 |
| 47. საჩხერის რაიონი | 11.190 | 3.683 | 6.529 | 11.190 | 500 |
| 48. სიღნაღის რაიონი | 16.248 | 12.568 | — | 16.248 | 627 |
| 49. ტყიბულის რაიონი | 16.454 | 13.364 | — | 16.454 | 542 |
| 50. ქარელის რაიონი | 14.456 | 13.159 | — | 14.456 | 642 |
| 51. ქუთაისის რაიონი | 11.524 | 9.669 | — | 11.524 | 579 |
| 52. ყაზბეგის რაიონი | 7.478 | 1.710 | 5.328 | 7.478 | 243 |
| 53. ყვარლის რაიონი | 11.250 | 10.043 | — | 11.250 | 495 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი | 13.101 | 11.576 | — | 13.101 | 585 |
| 55. ჩხოროწყუს რაიონი | 9.924 | 9.145 | — | 9.924 | 496 |
| 56. ცაგერის რაიონი | 11.726 | 4.949 | 6.054 | 11.726 | 475 |
| 57. ცხაკაიას რაიონი | 19.071 | 14.754 | — | 19.071 | 686 |
| 58. წალენჯიხის რაიონი | 11.114 | 10.011 | — | 11.114 | 509 |
| 59. წალკის რაიონი | 14.129 | 3.883 | 8.882 | 14.129 | 723 |
| 60. წითელწყაროს რაიონი | 10.683 | 8.353 | — | 10.683 | 371 |
| 61. წულუკიძის რაიონი | 14.102 | 12.014 | — | 14.102 | 516 |
| 62. წყალტუბოს რაიონი | 10.379 | 6.049 | — | 10.379 | 408 |
| 63. ჭიათურის რაიონი | 10.538 | 3.820 | 6.088 | 10.538 | 563 |
| 64. ხაშურის რაიონი | 18.226 | 14.620 | — | 18.226 | 665 |
| 65. ხობის რაიონი | 10.027 | 5.761 | 3.523 | 10.027 | 493 |
| ს უ ლ | 1.651.509 | 975.471 | 188.761 | 1.651.509 | 53.692 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1956 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზირებული სადგურების შემოსავლიდან 25 პროცენტი;

ბ) სატყეო შემოსავლიდან 40 პროცენტი;

გ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . | 15 | 20 | 75 | 44 | 40 | 13,0 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . | 15 | 30 | 75 | 40 | 29 | 13,8 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . . | 14 | 25 | 42 | 19 | 26 | 3,5 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . . . | 20 | — | — | 26 | 30 | 8,5 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 17,0 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . | 25 | — | — | 40 | 30 | 11,4 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . . . | 25 | — | — | 50 | 30 | 16,8 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . . | 45 | — | — | 60 | 40 | 16,3 |
| 10. აბაშის რაიონი . . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 100 | 53,1 |
| 11. ადიგენის რაიონი . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 12. ამბროლაურის რაიონი . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 50,0 |
| 13. ასპინძის რაიონი . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 14. ახალქალაქის რაიონი . . . . . . | 25 | 80 | 75 | 40 | 50 | 50,0 |
| 15. ახალციხის რაიონი . . . . . . . | 50 | 40 | 75 | 40 | 40 | 23,2 |
| 16. ახმეტის რაიონი . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 18. ბოლნისის რაიონი . . . . . . . | 100 | 40 | 100 | 100 | 100 | 86,9 |
| 19. ბორჯომის რაიონი . . . . . . . | 15 | 40 | 40 | 20 | 20 | 21,5 |

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უშვილო, მარტოხელა და მციროჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 20. გარდაბნის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 21. გეგეჭკორის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 22. გორის რაიონი | 90 | 40 | 75 | 40 | 30 | 22,0 |
| 23. გურჯაანის რაიონი | 25 | 40 | 65 | 100 | 20 | 25,7 |
| 24. დმანისის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 25. დუშეთის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 100 | 100,0 |
| 26. ვანის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 27. ზესტაფონის რაიონი | 30 | 31 | 65 | 40 | 30 | 13,8 |
| 28. ზუგდიდის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 22,6 |
| 29. თეთრიწყაროს რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 30. თელავის რაიონი | 40 | 40 | 75 | 40 | 70 | 17,4 |
| 31. თერჯოლის რაიონი | 100 | 100 | 100 | 80 | 90 | 91,1 |
| 32. თიანეთის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 33. კასპის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 100 | 41,5 |
| 34. კაჭრეთის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი | 100 | 60 | 80 | 50 | 65 | 98,4 |
| 36. ლანჩხუთის რაიონი | 25 | 30 | 75 | 40 | 30 | 33,6 |
| 37. ლენტეხის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 38. მაიაკოვსკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 86 | 73,0 |
| 39. მარნეულის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 35 | 46,7 |
| 40. მახარაძის რაიონი | 20 | 20 | 20 | 40 | 30 | 14,5 |
| 41. მესტიის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | — |
| 42. მცხეთის რაიონი | 100 | 40 | 75 | 40 | 60 | 45,2 |
| 43. ონის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 44. ორჯონიკიძის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 45. საგარეჯოს რაიონი | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 76,2 |
| 46. სამტრედიის რაიონი | 75 | 40 | 75 | 40 | 50 | 7,4 |
| 47. საჩხერის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 48. სიღნაღის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 50 | 23,7 |
| 49. ტყიბულის რაიონი | 40 | 40 | 75 | 40 | 40 | 59,5 |
| 50. ქარელის რაიონი | 100 | 40 | 100 | 100 | 60 | 37,9 |
| 51. ქუთაისის რაიონი | 100 | 40 | 60 | 100 | 40 | 51,4 |
| 52. ყაზბეგის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 53. ყვარლის რაიონი | 100 | 50 | 100 | 60 | 65 | 94,5 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი | 100 | 100 | 100 | 80 | 55 | 79,5 |
| 55. ჩხოროწყუს რაიონი | 100 | 80 | 100 | 70 | 80 | 92,1 |
| 56. ცაგერის რაიონი | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელის-მოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 57. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 30 | 26,7 |
| 58. წალენჯიხის რაიონი . . . . . . | 100 | 80 | 100 | 60 | 60 | 87,5 |
| 59. წალკის რაიონი . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 60. წითელწყაროს რაიონი . . . . . . | 50 | 40 | 75 | 40 | 40 | 14,6 |
| 61. წულუკიძის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 85 | 92,6 |
| 62. წყალტუბოს რაიონი . . . . . . | 25 | 30 | 50 | 40 | 30 | 21,5 |
| 63. ჭიათურის რაიონი . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 40 | 100,0 |
| 64. ხაშურის რაიონი . . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 80 | 36,0 |
| 65. ხობის რაიონი . . . . . . . . | 25 | 40 | 75 | 40 | 85 | 43,1 |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

## 2. კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“, 1954 წლის 17 ივნისის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროდ“ და 1955 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის საკავშირო - რესპუბლიკური სამინისტროს და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“ შეტანილ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72 მუხლში შემდეგი ცვლილება:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „მსუბუქი და კვების მრეწველობისა“ და „სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა“. სიტყვის შემდეგ მინისტრები დაემატოს სიტყვები: „მსუბუქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობისა", „სატყეო მრეწველობისა", „სასურსათო საქონლის მრეწველობისა".

2. შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ" და 1954 წლის 16 იანვრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ" შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72, 81, 102 და 104 მუხლებში.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72, 81, 102 და 104 მუხლებიდან სიტყვებს შემდეგ „კომუნალური მეურნეობისა" ამოღებულ იქნას სიტყვები „და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა" და სიტყვებს შემდეგ „სოფლის მეურნეობისა" ამოღებულ იქნას სიტყვები „და დამზადებათა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

**ქ. თბილისი.**
**1956 წ. 28 იანვარი.**

## 3. კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1. 1955 წლის 10 მარტისა „საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის გადაცემის შესახებ რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში".

2. 1955 წ. 10 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ".

3. 1955 წლის 2 ნოემბრისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ".

ამ ბრძანებულებათა შესაბამისად შეტანილი იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19, 50, 55, 72, 81 და 104 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

განათლებისა;

ვაჭრობისა;

თავდაცვისა;

იუსტიციისა;

კავშირგაბმულობისა;

კომუნალური მეურნეობისა;

კულტურისა;

მსუბუქი მრეწველობისა;

საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;

საბჭოთა მეურნეობებისა;

საგარეო საქმეთა;

სასურსათო საქონლის მრეწველობისა;

სატყეო მრეწველობისა;

საქალაქო და სასოფლო მშენებლობისა;

საფეიქრო მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

სოფლის მეურნეობისა;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ფინანსთა;

შინაგან საქმეთა;

წყალთა მეურნეობისა;

ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“.

**„მუხლი 55.** საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კავშირგაბმულობისა;
კულტურისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
საგარეო საქმეთა;
სასურსათო საქონლის მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
საქალაქო და სასოფლო მშენებლობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა“.

**მუხლი 72.** ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
მინისტრები:
ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
იუსტიციისა;
კომუნალური მეურნეობისა;
კულტურისა;
სოფლის მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარდა ამისა, რესპუბლიკის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით,

მინისტრები:

მსუბუქი მრეწველობისა;

სასურსათო საქონლის მრეწველობისა;

სატყეო მრეწველობისა".

**„მუხლი 81.** სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქმნის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;

ვაჭრობისა;

კომუნალური მეურნეობისა;

კულტურისა;

მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა;

საგზაოს;

საერთოს;

საფინანსოს;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

საგეგმო კომისიას;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ სამმართველოები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

იუსტიციისა;

სოფლის მეურნეობისა;

შინაგან საქმეთა სამინისტროსი".

**„მუხლი 104.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;

ვაჭრობისა;

კომუნალური მეურნეობისა;

კულტურისა;

მშენებლობის და არქიტექტურის საქმეთა;

საგეგმოს;

საგზაოს;

საერთოს;

საფინანსოს;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარდა ამისა, ქალაქის მრეწველობის და საგარეუბნო მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად:

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას და სოფლის მეურნეობის სამმართველოს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

## 4. კანონი

**„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-15 პუნქტის გაუქმების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-15 პუნქტის გაუქმების თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

## 5. კანონი

**„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-26 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-26 მუხლში დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**6. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

ამხ. გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრის თანამდებობისაგან;

ამხ. სერგი ვასილის-ძე დურმიშიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან;

ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**7. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად;

ამხ. გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ილია დავითის-ძე ართმელაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრად;

ამხ. სიმონ სევერიანეს-ძე ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ი. ნ. ლაღიძის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. გ. ა. ჯაბუას დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ი. ნ. ლაღიძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. დ. გ. მამაცაშვილის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დავით გიორგის-ძე მამაცაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გიორგი ირაკლის-ძე ჩოგოვაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**13. ამხ. ა. ნ. ვართაპეტოვის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. აშოტ ნიკიტას-ძე ვართაპეტოვი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

**14. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

1. გიორგაძე დავით ილიას-ძე;
2. ლომიძე გობრონ ივანეს-ძე;
3. მამალაძე ვლადიმერ გერასიმეს-ძე;
4. მახარაძე შალვა კირილეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 28 იანვარი.

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

**15. ბრძანებულება ამხ. დ. გ. მამაცაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან**

განთავისუფლდეს ამხ. დავით გიორგის-ძე მამაცაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 25 იანვარი.

**16. ბრძანებულება ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ**

დაინიშნოს ამხ. გიორგი ირაკლის-ძე ჩოგოვაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 25 იანვარი.

**17. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის საქმეში ზოგიერთ დარღვევას. რაისაბჭოების აღმასკომებს არა აქვთ დასახლებული პუნქტების ზუსტი სიები, აღმასკომის სათანადო გადაწყვეტილების გარეშე აუქმებენ და იღებენ დასახლებული პუნქტების სიებიდან იმ სოფლებს, რომელთა მოსახლეობა გეგმიანი წესით, ან სხვა მიზეზით გადასახლდა სხვა ადგილებში საცხოვრებლად, უცვლიან სოფელს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას ერთი საბჭოდან გამოყოფით და მეორე საბჭოზე მისი მიკუთვნებით, გადააქვთ საბჭოს ცენტრი ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, უცვლიან საბჭოს ან სოფელს სახელწოდებას, აერთიანებენ რამოდენიმე სოფელს ერთ სოფლად, ან, პირიქით, ჰყოფენ ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს ორ სოფლად; სოფლის ნაწილს — უბანს აცხადებენ ცალკე სოფლად და შეაქვთ დასახლებულ პუნქტების სიაში, კოლმეურნეობების გაერთიანების შემთხვევაში აერთიანებენ სოფლებსაც და მექანიკურად აუქმებენ გამსხვილებულ კოლმეურნეობასთან შეერთებულ სოფლებს.

ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომმა 1955 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით დასახლებული პუნქტების სიიდან ამოიღო და სხვა სოფლებს შეუერთა სოფლები — გურისტყე, ჩაკიტოური, შველაურ-ციციბაური, წითელგორა, შრომის უბანი და განთიადი. ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ სოფლების გაერთიანება არ იყო დასაბუთებული და ეწინააღმდეგებოდა სოფლების გეოგრაფიულ განლაგებას და მოსახლეობის სურვილს.

ჭიათურის რაისაბჭოს აღმასკომმა თავისი გადაწყვეტილებით სოფლები ვაკევისა, კვახაჯელეთი, ჯოლხეთი, წყალშავი, უსახელო, ბეგიაური, ზედარგანი, ქბილარი და სხვა გააუქმა იმ მოტივით, რომ ამ სოფლების კოლმეურნეობები გაერთიანებული არიან სხვა სოფლების კოლმეურნეობებთან.

ტყიბულის და ახმეტის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დასახლებული პუნქტების სიაში შეიტანეს სოფლები: ლაშია და ქორთაბუდე, რომლებიც მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო სხვადასხვა დროს გაუქმებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

1949—1954 წლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თხუთმეტზე მეტი სოფლიდან მოსახლეობა მთლიანად ჩასახლდა სხვადასხვა ადგილებში; სათანადო რაიაღმასკომებს და საოლქო საბჭოს აღმასკომს ამ სოფლების გაუქმებაზე არ მიუღიათ არავითარი გადაწყვეტილება, ჩასთვალეს ისინი მექანიკურად გაუქმებულად და ამოიღეს დასახლებული პუნქტების სიიდან.

ზუგდიდის, ქარელის, თერჯოლის, ადიგენის და სხვა რაიონების საბჭოების აღმასკომებმა თვითნებურად მოახდინეს ადმინისტრაციული ცვლილებები და სოფლები ერთი სასოფლო საბჭოდან გადაიტანეს მეორე სასოფლო საბჭოში.

მესტიის, გეგეჭკორის, ჭიათურის, ზესტაფონის და წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დასახლებული პუნქტების სიებში ერთი და იგივე სოფელი შეაქვთ ხან ერთ სოფლად, ხან ორ სოფლად. სიებში შეაქვთ ისეთი სოფლებიც, რომლებიც წარმოადგენენ სოფლების უბნებს — ნაწილს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გმობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ დაშვებულ შეცდომებს და ამ შეცდომების გამოსწორების მიზნით,

ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მიიღონ საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რისთვისაც:

ა) მოკლე დროში დააზუსტონ სოფლების რაოდენობა და მათი ადრე დადგენილი სახელწოდებები; შემდგომში არ დაუშვან სოფლების სახელწოდებების შეცვლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გარეშე;

ბ) არ დაუშვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების მოხდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა საკითხის წინასწარი შესწავლის, აღმასკომის სათანადო გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების გარეშე;

გ) შეამოწმონ ადგილებზე ის სოფლები, რომლებიდანაც გეგმიანი წესით ან სხვა მიზეზებით მოსახლეობა მთლიანად არის გადასული სხვა ადგილებში საცხოვრებლად და მიიღონ ზომები მათი გაუქმების გასაფორმებლად;

დ) გადასინჯონ კოლმეურნეობების გაერთიანების დროს სოფლების გაერთიანების შემთხვევები და მიიღონ ზომები იმ სოფლების აღსადგენად, რომლებიც შეცდომით ან მექანიკურად იქნენ გაუქმებულნი;

ე) დასახლებული პუნქტების სიების შედგენის დროს არ დაუშვან სოფლის ნაწილის — უბნის ცალკე სოფლად, ერთი სოფლის ორ სოფლად, ან პირიქით, ორი სოფლის ერთ სოფლად აღრიცხვა.

2. ერჩიოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და დასახონ სათანადო ღონისძიებანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 6 თებერვალი.

## 18. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სტატისტიკური ანგარიშების 1955 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1955 წლის სტატისტიკური ანგარიშების ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ გასულ წლებთან შედარებით საბჭოების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს.

იმის გამო, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნები არ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილებებიდან დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საკითხზე, მათ ვერ უზრუნველყვეს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზაცია, ამის შედეგად ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საერთო რიცხვიდან ამომრჩევლებისათვის 1956 წლის 1 იანვრისათვის ანგარიში ჩაბარებული ქონდა მხოლოდ 15.411 დეპუტატს, ანუ 53,2 პროცენტს.

სამხრეთ ოსეთის საოლქო, სტალინირის, ზუგდიდის, ახალქალაქის საქალაქო, ზუგდიდის, მარნეულის, წალკის, ონის და ცაგერის რაიონული საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის არც ერთ დეპუტატს თავისი ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საერთო რიცხვიდან საბჭოებისათვის ანგარიში ჩაბარებული აქვს მხოლოდ 83 პროცენტს. ანგარიშები საბჭოებისათვის არ ჩაუბარებიათ თბილისის რაიონების, აბაშის, ბოლნისის, დუშეთის, კაჭრეთის, ქუთაისის და სხვა რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ იცავენ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების 119 მუხლის მოთხოვნას, საბჭოებიდან გასული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ჩატარების შესახებ.

ადგილობრივ საბჭოებში ადგილი აქვს ხელმძღვანელების ხშირ ცვალებადობას, არჩევნებიდან განვლილ ათი თვის მანძილზე შეიცვალა 122 საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 60 თავმჯდომარის მოადგილე და 96 მდივანი; ახლად არჩეულთა შორის 38 საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 12 თავმჯდომარის მოადგილე და 48 აღმასკომის მდივანი არ არიან სათანადო საბჭოს დეპუტატები.

ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებში დეპუტატთა საერთო რიცხვის მხოლოდ 76,7 პროცენტია ჩაბმული; მუდმივ კომისიებში საბჭოების დეპუტატები მცირე რაოდენობით არიან ჩაბმული მარნეულის, ვანის, ზესტაფონის და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონებში. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა მუდმივი კომისიების მუშაობაში აქტივის ჩაბმას, მუდმივ კომისიებს სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე ნაკლებად გააქვთ საკითხები და ანგარიშებით არ გამოდიან საბჭოების სესიების წინაშე.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები და მუდმივი კომისიები;

ბ) უზრუნველყონ საბჭოების სესიებზე აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების ანგარიშების მოსმენა;

გ) მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა დეპუტატმა თავის რწმუნებათა ვადის განმავლობაში ორჯერ მაინც ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს;

დ) მოაწყონ მოკლე დროში საბჭოებიდან გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნები;

ე) არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივნებად არადეპუტატების არჩევა;

ვ) მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების ყველა დეპუტატი გაერთიანებული იყოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ერჩიოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს აღნიშნული დადგენილება განიხილონ თავიანთ სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 6 თებერვალი.

**19. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს სათანადო ცვლილებანი შეიტანონ კანონმდებლობაში ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დროშების შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 21 მარტის დადგენილება „დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბაირაღით სარგებლობის წესის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 6 თებერვალი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა არის საქართველოს სსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ კავშირში სხვა თანასწორუფლებიან რესპუბლიკებთან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნებაყოფლობითი გაერთიანების და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირის სიმბოლო.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა შესდგება წითელი ქსოვილისაგან სიგანისა და სიგრძის შეფარდებით—1:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედა კუთხეში ტართან მოთავსებულია ცისფერი კვადრატი, რომლის მხარე დროშის სიგანის ნახევარს უდრის.

კვადრატის შუაგულში წრეა; წრის რადიუსი შეადგენს კვადრატის მხარის ერთ მესამედს.

წრეში ნამგალი და ურო, მათ თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

წრიდან კვადრატის მხარეებს 24 სხივი ეფინება.

ნამგალი, ურო, ვარსკვლავი და სხივები წითელი ფერისაა.

კვადრატის მარჯვენა მხარის შუაგულიდან დროშის მთელს სიგრძეზე გადის ცისფერი ზოლი, სიგანით კვადრატის მხარის ერთი მესამედი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება:

ა) იმ შენობებზე, სადაც მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, ან საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს სესია — სესიის მთელ პერიოდში;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შენობებზე — მუდმივად;

გ) საქართველოს სსრ დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების შენობებსა და მიმოსვლის საშუალებებზე — თანახმად საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციისა, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

დ) საზღვაო და სამდინარო გემებსა და მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომლებზეც ოფიციალური პირების სახით იმყოფებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან სხვა პირები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ დიპლომატიური წარმომადგენლები და კონსულები — აღნიშნულ პირთა თანხმობით.

ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულების, ორგანიზაციის და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოს შენობებზე 25 თებერვალს, 22 აპრილს, 1 და 2 მაისს, 7 და 8 ნოემბერს და 5 დეკემბერს. ნებადართულია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღნიშნულ შენობებსა და აგრეთვე საცხოვრებელ სახლებზე აღიმართოს სხვა დღესასწაულებისა და საზეიმო ვითარების დღეებშიც.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა შეიძლება აღიმართოს აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ მოწყობილი ცერემონიებისა და სხვა საზეიმო ღონისძიებების დროს.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აღიმართება თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1955 წლის 19 აგვისტოს დამტკიცებული დებულებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახელმწიფო დროშასთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის აღმართვის დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის ზომა არ შეიძლება იყოს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის ზომაზე მეტი.

7. ინსტრუქციას ამ დებულების გამოყენების შესახებ გამოსცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

## 20. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის ცვლილების შესახებ

„აბორტის აკრძალვის გაუქმების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

**„მუხლი 149.** ექიმის მიერ აბორტის გაკეთება საავადმყოფოს ან სხვა სამკურნალო დაწესებულების გარეშე გამოიწვევს,—

საპყრობილეში მოთავსებას ერთი წლიდან ორ წლამდე.

აბორტის გაკეთება ანტისანიტარულ პირობებში ან ისეთი პირის მიერ ვისაც სპეციალური სამედიცინო განათლება არა აქვს,—

საპყრობილეში მოთავსებას არა ნაკლებ სამი წლისა.

ქალის იძულება აბორტის გაკეთებისათვის,— საპყრობილეში მოთავსებას ორ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წლის 6 თებერვალი.